ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N01
15 იანვარი 2026 წ.

დაბა ლენტეხი

„2026 წლისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 25 დეკემბრის №29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ბ“ და „დ.ე“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის 2026 წლის 13 იანვრის № 96-962601320 მომართვის შესაბამისად, ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს,**

მუხლი 1
შევიდეს ცვლილება „2026 წლისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 25 დეკემბრის №29 (www.matsne.gov.ge, 010260020.35.115.016452, 01/01/2026 წ.) დადგენილებით დამტკიცებულ დანართი №1-ში და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით (დანართი №1 თან ერთვის).

მუხლი 2
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — დავით პირველი

დანართი №1

2026 წლის ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ

N	სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და თანამდებობების დასახელება	რანგი	საშტატო რიცხოვნობა	თანამდებობრივი სარგო (ლარი)
,, IX “	ეკონომიკური განვითარების სამსახური			
1	მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის პროფესიული საჯარო მოხელე პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	I რანგი	1	3680
	ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილება			

2	ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილების პროფესიული საჯარო მოხელე მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი	II რანგი	1	2880
3	ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილების პროფესიული საჯარო მოხელე I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი	1	2080
4	ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილების პროფესიული საჯარო მოხელე II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი	1	1920
	მოსაკრებლების ადმინისტრირებისა და კონტროლის განყოფილება			
5	მოსაკრებლების ადმინისტრირებისა და კონტროლის განყოფილების პროფესიული საჯარო მოხელე მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი	II რანგი	1	2880
6	მოსაკრებლების ადმინისტრირებისა და კონტროლის განყოფილების პროფესიული საჯარო მოხელე I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი	1	2080
7	მოსაკრებლების ადმინისტრირებისა და კონტროლის განყოფილების პროფესიული საჯარო მოხელე II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი	1	1920
	სულ		7	